საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/4070
03/08/2022

4070-21-2-202208031544

შპს „ჯორჯტრანსს“
მის: ბათუმი, ზ. გორგილაძის ქ. №2/9
ელ. ფოსტა: gt@georgtrans.ge

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №3097 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, სოფ. გორაბერეჟოულში სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციას.

როგორც №21/2850 წერილით გეცნობათ, სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და მოცემული უნდა იქნეს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- ინფორმაცია წყალაღების წერტილიდან სამსხვრევ–დამახარისხებელ დანადგარამდე წყლის მიწოდების ტექნიკური გადაწყვეტის შესახებ (მათ შორის, პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული ტუმბოს რაოდენობა და წარმადობა, მილების სიგრძე);
- საპროექტო ტერიტორიაზე გათვალისწინებული საოფისე ფართის მოწყობის პროცესში წარმოქმნილი ნიადაგის/გრუნტის შემდგომი მართვის საკითხი;

ამასთან დოკუმენტში წარმოდგენილ გენგეგმასა და სიტუაციური რუკაზე დატანილი ინფორმაციები არ არის გარჩევადი;

სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი GPS კოორდინატები მითითებულია არასწორად. GPS კოორდინატები საჭიროა დაზუსტდეს და წარმოდგენილ იქნეს UTM WGS 1984 კოორდინატთა სისტემაში;

სკრინინგის განცხადებაში მითითებულია, რომ „ტექნიკური დანიშნულებით წყლის მისაღებად მოეწყობა ორი მიწისქვეშა ჭაბურღილი“. საჭიროა დაზუსტდეს ჭაბურღილების განლაგება და GPS კოორდინატები. ასევე დოკუმენტში საჭიროა მოცემულ იქნეს ინფორმაცია ჭაბურღილებიდან წყალსარგებლობისათვის საჭირო შესაბამისი ლიცენზიის თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო